უიმედოდ წაგებული მატჩი

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 22 ივლისი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (0:0).

“არარატი”: აბრამიანი, ბონდარენკო (მარტიროსიანი), სარქისიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასიანი, პოღოსოვი, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი (პეტროსიანი).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე, მ. მაჩაიძე (მჭედლიშვილი) , ასათიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი (წერეთელი), გ. ნოდია.

მსაჯი: ე. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 4:1 “არარატის” სასარგებლოდ.

არა გვგონია ვინმეს, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს ფეხბურთთან, უყვარს იგი, ესწრება მატჩებს, არ ენახოს ტელევიზიით 22 ივლისის მატჩი “არარატსა” და თბილისის “დინამოს” შორის. მისი ტრანსლაცია წარმოებდა მთლიანად, თავიდან ბოლომდე, ხილვადობა კარგი იყო, ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ თამაშის ქრონოლოგიურ მსვლელობაზე, რომელ წუთზე რა მოხდა და ა.შ. ეს ყველაფერი ფეხბურთის მოყვარულებმა საკუთარი თვალით ნახეს, ისინი მომხდარი ამბების უშუალო მოწმენი არიან.

ერევნის “არარატი” ახლა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. გუნდი, არნახული აღმავლობის პერიოდში იმყოფება, თამაშობს დამაჯერებლად, სოლიდურად, სტაბილურად, ყველა რგოლი დაკომპლექტებული ჰყავს თანაბარი სიძლიერის მოთამაშეებით და სავსებით დასაბუთებული, სამართლიანი პრეტენზიები გააჩნია ოქროს მედლების მოპოვებაზე. არარატელებთან თამაში და ისიც მათს მინდორზე ძალზე ძნელი საქმეა და ამიტომ თბილისელთა დამარცხებაში უჩვეულო, სენსაციური არაფერია. ლიდერი თავის სიმაღლეზე იდგა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. მელი საქმე ისაა, როგორ ითამაშებ, როგორ გამოიყურები მინდორზე, რა ვითარებაში ხდება გამარჯვებულის გამოვლენა.

იმავე დღეს, ერევანში მატჩის დამთავრების შემდეგ, ცენტრალური ტელევიზიით ტრანსლირებული იყო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა კიევიდან ადგილობრივი “დინამოსა” და ვოროშილოვგრადის “ზარიას” შორის. ვოროშილოვგრადელებიც დამარცხდნენ, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა გაკიცხოს ისინი, რომ არ ითამაშეს მთელი ძალით, არ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი, დაუთმეს ბრძოლის ველი მოწინააღმდეგეს. ეს იყო ორი საფეხბურთო კოლექტივის თანაბარი ბრძოლა, სადაც სპორტის კანონების შესაბამისად გაიმარჯვა უძლიერესმა. გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ღირსეულად იბრძოდა.

სამწუხაროდ, თბილისელ ფეხბურთელებზე ამას ვერ ვიტყვით. გასაოცარი იყო მათი უნებისყოფობა, ინერტულობა. პირველ ტაიმში გუნდი ასე თუ ისე უწევდა მეტოქეობას აღმავლობით მოთამაშე მასპინძლებს, მაგრამ შესვენების შემდეგ მინდორზე ფაქტიურად იმყოფებოდა ერთ გუნდი – “არარატი”, რომელიც მდგომარეობის სრული ბატონ–პატრონი იყო და დარწმუნებულად განაგებდა მატჩის მსვლელობას. თუ საქმე სიმართლეზე მიდგება, ანგარიში 3:0 “არარატის”

სასარგებლოდ ვერც ასახავს ძალთა ნამდვილ შეფარდებას. ერევნელებს მეტი სხვაობითაც შეეძლოთ გაემარჯვათ.

ვერც ერთ თბილისელ ფეხბურთელზე ვერ ვიტყვით, რომ მან ყველაფერი გააკეთა გუნდის სახსნელად. კანთელაძის ერთი გარღვევის გარდა, როცა იგი მეორე ტაიმის დასაწყისში პირისპირ აღმოჩნდა მეკარე აბრამიანთან და ვერ შეძლო ამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტის გამოყენება, არ გვახსენდება რეალური მომენტები, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს მდგომარეობის გამოსწორება. დინამოელთა ეპიზოდური კონტრშეტევები, რა თქმა უნდა, არ ცვლიდა საერთო სურათს. ერევნელთა წამყვანი მოთამაშეების – ანდრიასიანის, მარქაროვისა და იშტოიანის ნეიტრალიზება თბილისელთაგან ვერ შეძლო ვერავინ, მათი მეთაურობით კი "არარატი" ხელიდან არ უშვებდა ინიციატივას მთელი თამაშის მანძილზე.

ანგარიში მე–5 წუთზე გახსნა მარქაროვმა, შემდეგ კი ზანაზანიანმა და იშტოიანმა ზედიზედ გაიტანეს 2 ბურთი. მატჩის დასასრულამდე ერევნელებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მათ საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი.

თბილისის "დინამოს" ახლა ორი გასვლითი შეხვედრა აქვს ლვოვში და დნეპროპეტროვსკში. კოლექტივი სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, მოახდინოს ძალთა სრული მობილიზება, რომ არ მოგვაყენოს ახალი უსიამოვნებანი.

"ლელო", 24 ივლისი, 1973 წ.